საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დავით აღმაშენებლის ორდენი



დავით აღმაშენებლის ორდენი

დავით აღმაშენებლის ორდენი, საქართველოს სახელმწიფო ჯილდო.

დააწესა საქართვ. პარლამენტმა 1992 წ. 24 დეკ. (ავტორი – ე.ბურჯანაძე). აჯილდოებენ სამოქალაქო, სამხ. და სას. პირებს, გამოჩენილ სახელმწ. მოღვაწეებს ქართვ. ერის წინაშე გაწეული უდიდესი ღვაწლისათვის, საქართვ. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და აღორძინების, საზ-ბის კონსოლიდაციის, დემოკრატიის დამკვიდრების საქმეში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის.

დ. ა. ო-ის პირველი კავალერია საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქი ილია II (1998). იხ. აგრეთვე სტ. ორდენები საქართველოსი.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ნ., ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთმცოდნეობა), თბ., 1995.

ნ. ჯავახიშვილი